2020-2021 | საქართველოს ჩემპიონატი

რეგიონული (მეორე) ლიგა

ერთწლიანი გარდამავალი დებულება

ა. მონაწილე გუნდების რაოდენობა: 8

1 გორი გორი
2 ფირალები ქედა
3 აიეტი ვანი
4 სპორტუნი იბერია თბილისი
5 წიქარა თბილისი
6 არწივები ზესტაფონი
7 ბორჯომი ბორჯომი
8 რაშები თბილისი

ბ. გათამაშების სისტემა

შეჯიბრება ტარდება ერთ ეტაპად.

1. I ეტაპი: ორი წრე

1.1 თამაშები გაიმართება ორ წრედ: მიმოსვლით -- შინ და გარეთ (14 ტური = სულ 56 თამაში)

1.2 ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით.

1.3 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა თანაბარი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი:

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ურთიერთ შეხვედრებში.

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ორ წრეში.

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ორ წრეში.

ვ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ორ წრეში.

2. პირველ ლიგაში აღზევება

2.1 ორი წრის შედეგად I ადგილზე გასული გუნდი შემდეგი, 2021-2022 სეზონისთვის პირდაპირ აღზევდება პირველ ლიგაში.

2.2 ორი წრის შედეგად II ადგილზე გასული გუნდი შემდეგი, 2021-2022 სეზონისთვის პირველ ლიგაში ასასვლელად ორ-მატჩა დუელში ეთამაშება პირველ ლიგის მეორე ექვსეულში I ადგილზე გასულ გუნდს.

2.2.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია რეგიონული ლიგის გუნდი.

2.2.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით. ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება.

2.2.3 ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი:

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ამ ორ მატჩში.

ბ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ამ ორ მატჩში.

გ) პირველი ლიგის გუნდი.

გ. სავარაუდო ვადები

2020 წლის სექტემბერი – 2021 წლის მაისი.

:::